რეგიონული მედია და აღმოსავლეთ პარტნიორობა

გვ. 2

ქრისტი კარანაია: „მშობელი მუდამ შვილის ემოციების თანაზიარი უნდა იყოს„

გვ. 5

ჭოპორი ფოთი

ფასი 50 თეთრი №7 25 თებერვალი - 4 მარტი 2019 წელი\ გამოდის სამშაბათობით

ძვირფასო ქალბატონებო გილოცავთ 3 და 8 მარტს!

გოჩა კურდღელია: „ფოთის განვითარებისათვის მუხლჩაუხრელად ვიშრომებ

გვ. 3

„წარსული, დღეს და აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი„ - კონფერენცია ტალინში

გვ. 3

ნარჩენების მართვა - გამოწვევა საქართველოსთვის

გვ. 4

ირაკლი კაკულია: „ვინც აკეთებს, მათ აქვთ ცოტ-ცოტა ხარვეზები„



ივეტა პაჭკორია
ფოთი

გასული კვირა, ფოთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე ხმაურიანი გამოდგა - სახელმწიფო აუდიტმა გამოაქვეყნა ფოთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შეუსაბამისობის ანგარიში და დასკვნის სახით უკვე გამოაქვეყნა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმასა და კონტროლში არსებული მართვის სისუსტეებით გამოწვეული უხარისხო სამუშაოების ჩატარება, რის შედეგადაც მერიის მიერ დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები დახარჯულია არაეფექტურად.

აუდიტის დასკვნაში საუბარია რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობაში არსებულ ხარვეზებზე, მალთაყვის სანაპირო ზოლზე უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე და საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

დასასრული 2-გვ.

„წარსული, დღეს და აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი„ - კონფერენცია ტალინში

გვ. 3

ნარჩენების მართვა - გამოწვევა საქართველოსთვის

გვ. 4

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?



ეს გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge

საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში

გვ. 7

საერთაშორისო ტურნირი შერეულ ორთაბრძოლებში

გვ. 7

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე 551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 24 11 22

თეკლა მატკავა (ფოთი) 568 74 41 12

ივეტა პაჭკორია (ხობი) 597 97 76 18

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ: „ᲕᲘᲜᲪ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲛᲐᲗ ᲐᲥᲕᲗ ᲪᲝᲩ-ᲪᲝᲩᲐ ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲔᲑᲘ„

ᲓᲐᲡᲐᲜᲧᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

რუსთაველის რკალის ტროტუარების კეთილმოწყობითი სამუშაოები შპს „ნერგინეერინგ შერვიცების ჩომპანყ" შეასრულა, სამუშაოების მთლიანი ღირებულება 1,503.5 ათას ლარს შეადგენდა. 2017 წლის აპრილში ჩატარებულ სამუშაოებს ექსპერტიზა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპეტიზის ბიურომ ჩაუტარა, რომლის თანახმად დადგინდა, რომ ტროტუარზე, ხელოვნური გრანიტის ნაცვლად გამოყენებულია ბეტონის ფილა, რის საფუძველზეც სამუშაოს ღირებულება შემცირდა 713.3 ათასი ლარით. როგორც დასკვნიდან ირკვევა, სამწუხაროდ, ბეტონის ფილებიც უხარისხოა და ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ანგარიშიდან ასევე ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ ნერგინეერინგ შერვიცების ჩომპანყ"-თვის 713.3 ათასი ლარით ზედმეტია ანაზღაურებული. მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის დადებულ ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა, ამიტომ ერთადერთ მაკონტროლებელ მექანიზს წარმოადგენდა მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარებისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური. ანგარიშის თანახმად, პასუხისმგებელ პირს შესრულებული სამუშაოების ხარისხი შესწავლილი არ აქვს.

„მთავარი თემა სამეგრელოში" არერთხელ გამოეხმაურა ქალაქში უხარისხოდ მიმდინარე სამუშაოებს. მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენს დაინტერესებას "პროვოკაციად" და "ინფორმაციის გამუქებად" თვლიდა. როდესაც, მივმართეთ მაშინდელი მერის მოადგილეს ინფრასტრუქტურის დარგში და დავინტერესდით, რა მდგომარეობა იყო რუსთაველის რკალზე და რა ხარვეზის გამო სწავლობდა სახელმწიფო აუდიტი აღნიშნულ საქმეს, მან პროვოკატორობაში დაგვადანაშაულა და "მოგვიწოდა" - ნუ ამუქებთ ყველაფერსო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მერის მოადგილემ არც კი იცოდა, რა მდგომარეობა იყო მის საკურატორო სამსახურში.

სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში მოხვდა ასევე დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე № 14, №16 და №21 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისას დაშვებული ხარვეზები. ამ სახლის მაცხოვრებლები წლების განმავლობაში ითხოვდნენ დახმარებას და თანადგომას. სახლების "ეგრეთწოდებული" რეაბილიტაციიდან სულ მალე მობინადრეებს საკუთარ ბინაში ცხოვრების პრობლემები შეექმნათ. საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე მობინდრემ ახალგარემონტებული სახლის კედლებზე ამოსული სოკოც კი მოიტანა და საკრებულოს წევრებს კითხა, იცხოვრებდნენ თუ არა ისინი ასეთ სახლში. მაშინ საკრებულოს წევრებმა ურჩიეს, სასამართლოსთვის მიემართათ.

აღნიშნული სახლების რეაბილიტაციას შპს „ჯენერალ ქონსთრაშენ კომანი" ასრულებდა, სამუშაოს ღირებულება 1,398.7 ათას ლარს შეადგენდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ არა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო არამედ, შესრულების ვადის დარღვევის გამო შეუწყვიტა ხელშეკრულება და ჯარიმის სახით 469.7 ათასი ლარი დააკისრა. შემსრულებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის წარდგენილი ჰქონდა საბანკო გარანტია 69.9 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა, როგორც ანგარიშიდან ირკვევა, გარანტორი იყო აზერბაიჯანიდან იურიდიული პირი - ღია სააქციო საზოგადოება „ევრობანკი", რომელიც გარანტიის მოთხოვნის პერიოდში ლიკვიდირებული იყო და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის მიღება.

რაც შეეხება ყველაზე მტკივნეულ თემას - მალთაყვის სანაპირო ზოლს. ეს უნდა ყოფილიყო ფოთის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ძალა. მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოები ოპოზიციური სპექტრის მუდმივი კრიტიკის სფეროს წარმოადგენდა.

მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი 2016 წელს უნდა დამთავრებულიყო, რომელიც მოიცავდა სანაპირო ზოლზე მისასვლელი გზისა და ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებას. კონტრაქტორი ფირმის მიერ დარღვეულია როგორც სამუშაოს ხარისხი, ასევე ვადები, როგორც სხვა სამუშაოებზე, აქაც კონტრაქტორ ფირმასთან ხელშეკრულება გაწყდა მხოლოდ ვადების გამო. სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში მოხვდა ასევე დუბლირებული სამსახურები, როგორიცაა ტურიზმის განვითარების ცენტრი და სოციალური კვლევის ცენტრი. რეკომენდაციის სახით კი ანგარიშში აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მსგავსი ტიპის იურიდიული პირებისა და მასში არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას- აღნიშნულია ანგარიშში.

სახელმწიფო აუდიტის დასკვნას იმ დროინდელი მერი, დღევანდელი საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია არ უარყოფს, მეტიც, აღიარებს ხარვეზების არსებობას:, „აუდიტის დასკვნის რეკომენდაციას ვეთანხმები, ეს არის გასათვალისწინებელი. ვინც აკეთებს, მათ აქვთ ცოტ-ცოტა ხარვეზები. მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ აღნიშნული მოცემული ხარვეზები გამოასწოროს"- განაცხადა მან.

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ

ᲘᲜ�გᲐ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ტალინში აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-6 ყოველწლიურ კონფერენციაზე დემოკრატიის უზრუნველყოფასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში რეგიონული მედიის განვითარებაზე და პრობლემებზეც ისაუბრეს,

როგორც კონფერენციის მსვლელობისას გამოიკვეთა ბეჭდვითი მედიის მიმართ მკითხველის დამოკიდებულება აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში, პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, კონფერენციის მონაწილე ევროკავშირის ქვეყნების მედია-საშუალებების წარმომადგენლებისგან ისიც აღინიშნა, რომ ევროპის ქვეყნებში დიდია გაზეთის კითხვის კულტურა. შესაბამისად, ევროპის რეგიონებში მომუშავე ბეჭდვითი მედიის ორგანიზაციებს გაზეთის რეალიზებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემები არ შექმნიათ. მათ მოახერხეს შეენარჩუნებინათ მკითხველის ნდობა და ტირაჟი კიდევ უფრო გაეზარდათ.

ევროპელებისგან განსხვავებული პოზიცია გამოთქვა უკრაინული ონლაინ გამოცემა „ რამატორსკ ოსტ"-ის მთავარმა რედაქტორმა, ანდრეი შევჩენკომ. მისი თქმით: "უკრაინული მედიისთვის მთავარ გამოწვევას ოლიგარქებზე დამოკიდებულება წარმოადგენს. ამასთან, ბეჭდვითი მედიისთვის მცირე ბაზარი და რეკლამის ნაკლებობა განვითარების დამატებითი შემაფერხებელი ფაქტორებია".

კონფერენციაზე გამოსვლისას საქართველოს წარმომადგენელმა, ჟურნალისტთა ასოციაცია „გენდერ მედია კავკასიას" ხელმძღვანელმა გალინა პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოში მედიის მხარდაჭერის მიმართულებით, განსაკუთრებით კი რეგიონალი მედიის წინაშე არაერთი პრობლემა იკვეთება. როგორიცაა ნაკლები შემოსავლები, ნაკლები აქტიურობა ბიზნესის მხრიდან, რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება, ქვეყანაში მედიასაშაულები ვერ განვითარდებოდნენ. სწორედ ქართული მედიის განვითარებაში ჩადებული უდიდესი წვლილისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებს პეტრიაშვილმა მადლობა გადაუხადა. ბოლოს კი პეტრიაშვილმა საქართველოს მედიისთვის მთავარ გამოწვევად რუსული პროპაგანდის მეშვეობით საქართველოს წინააღმდეგაა გაჩაღებული საინფორმაციო ომი დაასახელა.

უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთსა და საქართველოს არამარტო ძლიერი მეგობრული ურთიერთობები, ერთიანი საგარეო პოლიტიკაც აერთიანებთ. მათ ასევე საერთო საბჭოთა წარსული გააჩნიათ და საერთო მეზობელიც ყავთ რუსეთის სახით. საერთოა ისიც, რომ ორივე ქვეყანაში ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები. ბევრი ქართველი და ასევე ესტონელი საუბრობს რუსულ ენაზე.

საინტერესო გახლდათ ის ინფორმაცია, თუ რა გზითა და ხერხებით შეეცადა ესტონეთი რუსული პროპაგანდისგან დაეცვა თავი.

ესტონეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის რუსულენოვანი რადიო-4-ის ჟურნალისტ, არტურ აუკონის განცხადებით, ესტონეთს არასდროს დაუბლოკია რუსული არხების სატელევიზიო სივრცე. პირიქით, გახსნეს ადგილობრივ საზოგადოებრივ მაუწყებელში რუსულენოვანი არხები. დღეს ესტონეთში, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულენოვანი გახლავთ. მათ აქვთ საშუალება უყურონ რუსეთის ტელევიზიებსაც და ადგილობრივი საზოგადოებრივი მაუწყებლის რუსულენოვანი არხის საშუალებითაც მიიღონ ინფორმაცია: "ესტონეთის მოქალაქეები თავად აკეთებენ დასკვნას, სად არის სიმართლე. დღეს უკვე მკაფიო ტენდენციაა, როცა ადამიანები, განსაკუთრებით ახალ-

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ 4-ᲒᲕ.

გოჩა კურდღელია: „ფოთის განვითარებისათვის მუხლჩაუხრელად ვიშრომებ„

ივეტა პაჭკორია
ფოთი

რა გააკეთა არჩევიდან დღემდე, რის გაკეთებას გეგმავს და რა სახსრებით? ამ კითხვებზე გვპასუხობს ფოთის მერი გოჩა კურდღელია.

– როგორ შეაფასებთ გასულ წელს?

- მოგეხსენებათ, გასული წელი ქვეყნისთვისაც და ჩვენი ქალაქისათვის საკმაოდ წარმატებული იყო. ავირჩიეთ პრეზიდენტად ქალი, რომელიც გენეტიკურად დაკავშირებულია ჩვენს ქალაქთან. ჩვენი ქალაქის დაარსებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის პრეზიდენტის დიდ ბაბუას, უდიდეს ქართველს ნიკო ნიკოლაძეს, რომელმაც საუკუნე ნახევრის წინ შეიმუშავა ქალაქის განვითარების კონცეფცია. ფოთი ერთადერთი ქალაქია საქართველოში, რომელიც აგებულია წინასწარი დაგეგმარებით და აქვს განვითარების ძირითადი ფუნქციური მიმართულება - სანავსადგურო ბიზნესი.

რაც შეეხება 2019 წელს, გაგრძელდება მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ასევე, გვაქვს ახალი პროექტები. მიმდინარეობს მოლაპარაკება და მალთაყვის სანაპირო ზოლზე იგეგმება ხუთსართულიანი სასტუმროს აშენება. აზიის განვითარების ფონდისა და რეგიონულ ფონდთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც მოხდება ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება.

დაიწყება კიდევ ერთი ნავსადგურის მშენებლობა. ფოთის ნავსადგურს, კომპანია ამპ ტერმინალს შეტანილი აქვს განაცხადი ჩრდილოეთ სანაპიროზე, 10 ჰ ტერიტორიაზე, ახალი ნავმისადგომის მშენებლობის შესახებ. ინვენსტიციების მოცულობა დაახლოებით 150 მილიონი დოლარია. საკმაოდ წარმატებულად ახორციელებს მუშაობას "აჭარა ტექსტილი", მან თანამშრომლების რაოდენობა 1000-მდე გაზარდა.

–რამდენად იმოქმედა ბიუჯეტის გაზრდაზე ახალმა ინვენსტიციამ და ჯარიმებიდან შემოსულმა თანხებმა?

– მოგეხსენებათ, ბიუჯეტში მხოლოდ მიწის გადასახადი შედის. გასულ წელს მიწის გაყიდვებიდან შემოსულია 78 ათასი ლარი. გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, ამის ნაცვლად ადგილობრივ ბიუჯეტს შემოსავლის ნაწილში დაემატა დღგ. სხვაობამ მოგვცა 679,7 ათასი ლარი. ტექსტილმა მუშაობა გასულ წელს დაიწყო და მას პირველი გადასახადი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, დაახლოებით 400 ათასი ლარის ოდენობით, მოუწევს. ეს, რათქმა უნდა, აისახება თითოეული ფოთელის ყოფაზე. ამასთანავე, ჩვენ გადაჭარბებით შევასრულეთ გასული წლის ბიუჯეტი აქტივების კლების მუხლში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფაქტი პირველად დაფიქსირდა, რაც განაპირობებს ჩვენი ქალაქით ინვენსტორების დაინტერესებას. გვაქვს რამდენიმე პროექტი, რომელსაც ჩვენი ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურაში გარკვეული ცვლილებები შეაქვს. ამისათვის უკვე მოძიებული გვაქვს თანხები. საუბარია ბარათაშვილის ქუჩაზე, რომელიც შეუერთდება მალთაყვის სანაპირო ზოლს, რაც დაამოკლებს გზას მალთაყვის სანაპირო ზოლამდე.

– ოპოზიციის მხრიდან გამუდმებული კრიტიკის ობიექტია შეჩერებული სამუშაოები

-ჩვენი ქალაქისათვის საკმაოდ პრობლემატურია თეატრის საკითხი. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ კულტურის სამინისტროსთან. უკვე გამოვაცხადეთ ტენდერიც. თეატრის რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება. სამუშაოების ღირებულება 904 824 ლარს შეადგენს.

– თეატრის დასი რამდენიმე წლის წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა და ისევ ფოლკლორის ცენტრში აგრძელებს მუშაობას, სახელოვნებო და ფოლკლორის ცენტრი მუსიკალურ სკოლებში გადანაწილდა, დასი ლოდინის იგივე გზას ხომ არ გაივლის, რაც წლების წინ გაიარა?

– არა, სამუშაოები ერთ წელში დამთავრდება. მინდა გითხრათ კანალიზაციის პროექტზეც ,რომელიც გრძელდება, კანალიზაციის სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე 130 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება, რომელიც აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით ხორციელდება.

– უკვე ორი ათეული წელია, მდინარე კაპარჭას კალაპოტი არ გაწმენდილა, მიუხედავად სპეციალისტებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების დიდი მოთხოვნისა. ამ მდგომარეობამ მტკნარი წყლების კლება და ტბის ნაწილის დეგრადირება გამოიწვია. წელს პირველად გაიწმინდება. რა

დასასრული 4-გვ.

„წარსული, დღეს და აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი„- კონფერენცია ტალინში

ინგა გვასალია
ფოთი

ტალინში გამართულ მე-6 ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომლის თემა გახლდათ "გამოწვევები, საერთო გადაწყვეტილებები: წარსული, დღეს და აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი", უკლებლივ ყველა გამომსვლელმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" 10-წლის განმავლობაში მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა.

კონფერენციას 6 პარტნიორი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას, უკრაინისა და ბელორუსიის, ასევე ევროკავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიური მისიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონფერენცია 3 პანელად იყო დაყოფილი. პირველი გახლდათ ევოლუციის ათწლეული - აღმოსავლეთ პარტნიორობის ბოლო 10 წლის განმავლობაში. მეორე პანელი - ევროპაში იწყება: რეგიონული მედიის განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და დემოკრატიის უზრუნველყოფა, კორუფციასთან ბრძოლა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. მესამე პანელზე 2020 წლის შემდეგ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამომავლო გეგმები განიხილეს.

ევროპარლამენტის წევრის ურმას პაეტის განცხადებით საქართველოსა და უკრაინის ქვეყნებისთვის პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში მხარდაჭერისა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. „ეს, საბოლოო ჯამში, შექმნის სტაბილურობის, დემოკრატიულობისა და ეკონომიკური გამჭირვალობის გარანტს".

ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა იური რატასმა აღნიშნა, რომ ესტონეთი მართვის ელექტრონული სისტემის ფორმირების, ადმინისტრაციული რეფორმების გატარების, სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებასა თუ მედიისთვის სანდოობისა და გამჭირვალე გარემოს შექმნის საკითხებში გამოცდილების გაზიარებას სამომავლოდაც გააგრძელებს.

2016 წლიდან ევროკავშირმა 6 პარტნიორ ქვეყანას სესხების 50% -ზე მეტი შესთავაზა, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებს. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში 2 000-ზე მეტმა კომპანიამ 2 მილიარდი ევროს ოდენობით დახმარება მიიღო. ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებს გამოიყენებს თუ არა, თითოეული ქვეყანა თავად წყვეტს.

"ყველას გვესმის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანა ერთმანეთისგან განსხვავებულია. ცხადია, დღეს უკრაინა, საქართველო და მოლდოვა პოლიტიკურადაც და ევროკავშირთან დაახლოების ღირებულების მიხედვითაც წინ დგას, ვიდრე აზერბაიჯანი, ბელარუსია და სომხეთი"- განაცხადა ევროპარლამენტის წევრმა და ესტონეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ურმას პაეტმა.

კონფერენციაზე გამომსვლელმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ოთხი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლებმა ინსტიტუციური თუ ეკონომიკური რეფორმებისთვის ევროკავშირისგან დაფინანსების გაზრდა ითხოვეს. ევროკავშირის საგარეო ღონისძიებათა სამსახურის "აღმოსავლეთ პარტნიორობის" რეგიონული თანამშრომლობისა და ეუთოს განყოფილების უფროსმა აუდრონე პერკაუსკიენემ როგორც განაცხადა; „არ ვაპირებდი ამის თქმას წინასწარ, თანამშრომლობის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესში განიხილება 2020-2030 წლებისთვის ფინანსური დახმარების პაკეტის კიდევ უფრო

დასასრული 4-გვ.

გოჩა ქურდღელია: ,,ფოთის განვითარებისათვის მუხლჩაუხრელად ვიშრომებ,,

დასაწყისი 3-გვ.

თანხებით შესრულდება აღნიშნული სამუშაოები?

– გეთანხმებით,უკვე 20 წელია მდინარე არ გაწმენდილა,ეს აუცილებელია როგორც მდინარისათვის, ასევე პალიასტომის არსებობისათვის. სულ მალე დაიწყება მდინარის 3 700 მეტრიანი ზოლის გაწმენდა და პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენა. პროექტის ღირებულება 1 500 000 ლარს შეადგენს, სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება. ეს არის პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენის I ეტაპის სამუშაო, რომლის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი გახდება პალიასტომის ტბის წინაშე მდგარი პრობლემების უფრო ეფექტურად გადაჭრა. ამით მოხდება მდინარის გამტარუნარიანობის აღდგენას, რის შედეგადაც, მდინარე კაპარჭაზე შესაძლებელი იქნება სანიჩბოსნო სპორტული ღონისძიებების ჩატარება. მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების კაპიტალური რემონტი. პირველ ეტაპზე,ქალაქში 11 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის კაპიტალურ რემონტი ჩატარდება. გარდა ამისა, გრძელდება 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და სხვა დაზიანებების რეაბილიტაცია. მარტიდან ,,კოლხეთი -1913" უკვე შეძლებს თამაშს საკუთარ სტადიონზე. აქ პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდა.

– რა ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება იგეგმება ადგილობრივი ბიუჯეტიდან?

– ადგილობრივი ბიუჯეტიდან 350 ათასი ლარით დაფინანსდება და წელს დამთავრდება მე-2 სკოლის დარბაზი. გაზაფხულიდან დაიწყება გზების დაგრეიდერების სამუშაოები.

რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ბავშვთა სკოლის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდება. ქალაქის სხვადასხვა ადგილებში პანდუსები მოეწყობა, სამუშაოების ღირებულება შეადგენს 7 ათას ლარს. ვაგრძელებთ საბავშვო ბაღების გაზიფიცირებას, გასულ წელს 5 საბავშო ბაღში შევიყვანეთ გაზი. სამუშაოები წელსაც გაგრძელდება და კიდევ 5 ბაღი გაზიფიცირდება. ასევე გაგრძელდება უპოვართა სასადილოს რემონტი. შარშან გარემონტდა დარბაზი, წელს სველი წერტილების სარემონტოდ 20 ათასი ლარია გამოყოფილი. ასევე მინდა აღვნიშნო, ამპ ტერმინალის თანადგომა, რომელიც 8 ათასი ლარით დააფინანსებს დღის ცენტრს. გარე განათების შეცვლაა დაგეგმილი შედარებით ეკონომიური განათებით, რაც ხარჯებს გაანახევრებს.

–ოპოზიციური სპექტრი სანაპირო ზოლის უხარისხოდ შესრულებაზეც საუბრობს

– ერთი რამ ცხადია, იმ ადგილას, სადაც დღეს სანაპირო ზოლის მშენებლობა მიმდინარეობს, სამი წლის წინ გაუვალი ჭაობი იყო. ფაქტია ისიც, რომ სამუშაოების ხარისხი არ იყო შესაბამისი, ვერც ვადებში ჩაეტია კომპანია, ამიტომაც, იანვრის ბოლოს შევუწყვიტეთ ხელშეკრულება.

– აქტიურად საუბრობენ ა(ა)იპების გაუქმების შესახებ, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს ფაქტი?

– ამ ეტაპზე საუბარი არ არის გაუქმებაზე. ეს არის ცოცხალი ორგანიზმი და ყოველთვის მიმდინარეობს განახლება. ამ ეტაპისათვის დაშლა არ ემუქრება არც ერთ აიპს. შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც მუშაობს ამ პრობლემის მოგვარებაზე. მინდა აღვნიშნო მაჟორიტარი დეპუტატისა და გუბერნატორის თანადგომა. მერწმუნეთ, ჩვენი ქალაქის განვითარებისათვის მუხლჩაუხრელად ვიმუშავებ

,,წარსული, დღეს და აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი,,- კონფერენცია ტალინში

დასაწყისი 3-გვ.

გაზრდა".

ევრო კომისიამ ცოტა ხნის წინ ბრიუსელში ევროპარლამენტს გააცნო ფინანსური მხარდაჭერის პაკეტი 12,5 მილიარდი ევროს ოდენობით, რომელიც ევროკავშირსა და მის აღმოსავლელ მეზობლებს შორის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება. დაგეგმილია, ასევე, პარტნიორი ქვეყნების სატრანსპორტო განვითარება, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა-მშენებლობა და ახალი მაგისტრალების აშენება.

როგორც ითქვა, საქართველო 3.5 მილიარდ ევროს მიიღებს, უკრაინა - 4,5 მილიარდს.

2016-2017 წლებში ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებში ევროკავშირის 2 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარებით 2000-მდე კომპანიამ ისარგებლა. 2020 წლისთვის გამოყოფენ 100 მილიონ ევროს, რომ მცირე და საშუალო მეწარმეებმა სესხები ადგილობრივ ვალუტაში მიიღონ.

ტალინის ყოველწლიურ ფორუმზე, საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, მიხეილ ჯანელიძემ როგორც აღნიშნა, მისი ქვეყანა საჭიროებს წარმატებული საშუალო და მცირე საწარმოების სიმრავლეს და მათ განვითარებას. ,,საქართველოში რამდენიმე სფეროა, სადაც ჩვენ ფინანსური დახმარება გვჭირდება. ეს არის ახალ ნორმებთან ადაპტაცია, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს, მაგალითად, ისეთ სექტორში, როგორიცაა კლიმატის დაცვა და ენერგია. ჩვენ ასევე გვჭირდება დახმარება, რომ ავაშენოთ წარმატებული საშუალო და მცირე წარმოებები, წავახალისოთ ექსპორტის პოტენციალი"- განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ. ესტონეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, ევროპარლამენტის წევრმა ურმას პაეტმა, რომელიც ასევე მიწვეული გახლდათ კონფერენციაზე, განაცხადა, რომ ევროკავშირს გაუჭირდება პარტნიორი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერა, თუ მის სივრცეში კიდევ უფრო მომძლავრდნენ რადიკალური მემარჯვენე ძალები, რომელთაც მხარს უჭერს რუსეთი.

იან რეინჰოლდის თქმით, დიფერენცირებული მიდგომა მნიშვნელოვანია: ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის" ექვს ქვეყანას შორის ზოგი მეტად განვითარდა, მაგალითად, საქართველო და უკრაინა. თუმცა. მათთან მიმართებაშიც გასაანალიზებელია, რას მიაღწიეს, როგორ შესრულდა ევროკავშირთან ინტეგრაციის ,,საშინაო დავალებები".

ნარჩენების მართვა – გამოწვევა საქართველოსთვის

თეკლა გვასალია
ფოთი

მყარი მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება ნარჩენების მართვის ფორმა გახლავთ. მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტური მუშაობა, რადგან არსებული ნაგავსაყრელები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზეც აისახება. როგორც მოგეხსენებათ, საერთაშორისო სტანდარტით, მნიშვნელოვან როლს იძენს ნარჩენების მართვა, ეს ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტია.

საქართველოც სწორედ ამ გზას დაადგა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. არსებობს დოკუმენტები - საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016 -2030) და ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016- 2020), რომლებიც 2016 წლის აპრილში დამტკიცდა. 2017 -2018 წლებში მიიღეს საქარველოში არსებული ყველა მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმებიც (2017- 2021).

ფოთში არსებული დღევანდელი ნაგავსაყრელი მუნიციპალიტეტის მფლობელობაში იყო, მაგრამ შემდეგ გადაეცა "მყარი ნარჩენების მართვის" კომპანიას, რადგან იგი კანონმდებლობით გახდა პასუხისმგებელი ყველა ოფიციალურ ნაგავსაყრელზე, გარდა თბილისსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში არსებულისა. კომპანია გახლავთ სახელმწიფოს 100 %იანი წილის მფლობელი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეკუთვნის. კომპანია სრულიად საქართველოში ოფიციალური მუნიციპალური ნაგავსაყრელების მოსაწესრიგებლად და ნელ-ნელა მათი დახურვის მიზნით შეიქმნა. როგორც საქართველოს ,, მყარი ნარჩენების დირექტორის მრჩეველმა ხათუნა ჩიგოვაძემ განმარტა: "ფოთის ნაგავსაყრელი, ისევე როგორც სხვები საქართველოში, მოაწესრიგა ჩვენმა სამსახურმა. შემოიღობა, დავაყენეთ ოპერატორი, დავდგით სასწორი, კონტროლდება ნარჩენების შემოსვლა, რომ თავიდან ავიცილოთ მდინარე რიონში ნარჩენების ჩადინება. გადავდივართ რეგიონულ მოწყობაზე. სამეგრელო-ზემო სვანეთი შევისწავლეთ

დასასრული 5-გვ.

რეგიონული მედია და აღმოსავლეთ პარტნიორობა

დასაწყისი 3-გვ.

გაზრდა თაობის წარმომადგენლები, თავად მართავენ საინფორმაციო ნაკადებს და თავად ირჩევენ, რას მოუსმინონ, რას უყურონ და რა წაიკითხონ".

ორგანიზაცია ,,რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" უცხოური მედიის ანალიტიკოსმა, მედიის ფინელმა ექსპერტმა იარ მომაკედამ, ე.წ. აკე ეწს-ების პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. მისი განცხადებით: "განსაკუთრებული პრობლემებია ამ მიმართულებით სოციალურ მედიაში: ერთის მხრივ, აკე ეწს-ის შემთხვევაში, სიმართლის დამახინჯება შეგნებულად ხდება იმგვარად, რომ ადამიანი შესაძლოა, შეცდომაში შევიდეს. მეორეს მხრივ კი სიძულვილის ენის წახალისება ხშირად მოქალაქეს და ჟურნალისტს უბიძგებს, მოერიდოს კონკრეტული მწვავე პრობლემის გაშუქებას, რომ თავად არ იქცეს ატე შპეეცჰის მსხვერპლად. ფინურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სიძულვილის ენა არ ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. კანონმდებლობის შესაბამისად, თუ გასაჯაროებული მასალა, ან კომენტარი შეიცავს სიძულვილის ენას, მის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ატე შპეეცჰ-ის ავტორი ანონიმურია. ადამიანებს აქვთ გამოხატვის თავისუფლება, როცა ისინი აფასებენ მოვლენებს, მაგრამ ატე შპეეცჰის გამოყენება ცალკეულ პირთა მიმართ უკვე კანონითაა შეზღუდული".

კონფერენციაზე ჟურნალისტების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე და მედიასაშუალებების განვითარების საჭიროებებზეც ისაუბრეს. განვითარების ,,დღეს, როცა სოციალური მედია განსაკუთრებით ძლიერდება, კიდევ მეტი ფასი დაედო მედია-საშუალებების და რიგითი ჟურნალისტების პროფესიონალიზმს. იმედი გვაქვს, მედიის წარმომადგენლები მოახერხებენ საზოგადოებას მიაწოდონ მართალი სიტყვა და ამით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანონ დემოკრატიის განვითარების საქმეში". კონფერენციის დასასრულს ყველა მედიაექსპერტი ერთ აზრს იზიარებდა, რომ პროპაგანდისტული საშუალებებით ბევრი არასწორი ინფორმაცია ვრცელდება ევროკავშირის ღირებულებებზე და ამ კუთხით მუშაობა გასაძლიერებელია.

ქრისტი კარანაია: „მშობელი მუდამ შვილის ემოციების თანაზიარი უნდა იყოს„

თეკლა გვასალია
ფოთი

საქართველოში არსებული სტერეოტიპი ხშირ შემთხვევაში ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორი გახლავთ ბავშვთან ურთიერთობაში. ესაა დამკვიდრებული აზრი, რომ მშობლისა და შვილების ურთიერთობაში უპირატესია მშობლების შეხედულებები, სურვილები და მოსაზრებები. ხშირად გამიგონია მშობლებისგან - "ძნელია თავის შეკავება და სიმშვიდის შენარჩუნება, როცა შვილს ჭკუიდან გადაყავხარ. თავს ვერ იკავებ და ეჩხუბები ", ან "ცემა არა, მაგრამ ყვირილი ჭრის ხოლმე". ცივილიზაციის ერთ-ერთი მიღწევით მშობელთა საკმაოდ დიდი რაოდენობის (განსაკუთრებით ახალგაზრდების) "დაავადებაც" სახეზეა, როდესაც მშობელი ტელეფონით სოციალურ ქსელშია "შემძვრალი" და ხშირ შემთხვევაში ბავშვი უყურადღებოდაა დატოვებული, რასაც, შესაძლოა სავალალო შედეგი მოყვეს. ასეთი ფაქტები მსოფლიოს ბევრი ახსოვს. ამ დროს ბავშვებს მხოლოდ მეგობრული დამოკიდებულება, ჯანსაღი ურთიერთობა სჭირდება მშობელთან, ასევე აუცილებელია მშვიდი და ჰარმონიული გარემო ოჯახში.

საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობა სოციალური ნორმა გახლავთ, რომლის შედეგებიც მძიმეა. ამას ამძაფრებს ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა. რა ტიპის ძალადობაა ბავშვის უგულვებელყოფა, რა გავლენას ახდენს ის ბავშვზე, მის ფსიქიკასა და განვითარებაზე? კითხვებზე გვპასუხობს ფსიქოლოგი, ქრისტი კარანაია: "უგულვებელყოფაა, როცა მშობლები არ ან ვერ აკმაყოფილებენ ბავშვის ფსიქიკურ, თუ ფიზიკურ მოთხოვნებს. მშობლების უყურადღებობის გამო უნდობლობის განცდა უყალიბდებათ, რის პროექციასაც გარემოზე ახდენენ და საბოლოოდ სრულიად კაცობრიობას უცხადებენ უნდობლობას. ამის შედეგად მუდმივი თავდაცვის რეჟიმში არიან. ასეთი ბავშვები ემოციურ არასტაბილურობას განიცდიან, ახასიათებთ საკუთარ თავში ჩაკეტილობა, დეპრესია, აგრესია, კოშმარები, უძილობა".

საინტერესოა ძალადობის ეს ფორმა მხოლოდ სოციალ- ეკონომიკური მდგომარეობის დროს ვლინდება, თუ ე.წ რესპექტაბელურ ოჯახებშიც გვხვდება. როგორც ფსიქოლოგმა აგვიხსნა, არც ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ოჯახები ყოფილა გამონაკლისი: "რესპექტაბელური ოჯახების შემთხვევაშიც ვითარდება უგულვებელყოფის სცენარი. თუ ბავშვისთვის არ რჩებათ დრო,არ თამაშობენ მათთან ერთად,არ პასუხობენ ბავშვების შეკითხვებს, არ ინტერესდებიან მათ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებით - როგორ გაატარეს დრო, რა ისწავლეს, რა ითამაშეს ბაღში და ა.შ. ესეც უგულვებელყოფა და ფსიქოლოგიური ძალადობაა, რომელიც მნიშვნელოვან ტრამვულ კვალს ტოვებს ბავშვის ფსიქიკაზე, რაც მათი მომავალი ცხოვრების სცენარს განაპირობებს".

ძალადობის იდენტიფიკაციის მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 12 სექტემბერს № 437 დადგენილება მიიღო „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე",რაც არასრულწლოვანზე ძალადობის რეფერირების მექანიზმს წარმოადგენს. "რეფერირების სუბიექტების სია ვრცელია. გაიზარდა არეალი და მოიცვა ფაქტობრივად ყველა ის სფერო, სადაც ბავშვს უწევს ყოფნა -სკოლა, სკოლამდელი- სააღმზრდელო დაწესებულება, სასპორტო დაწესებულება და ა.შ.

ძალადობის იდენტიფიცირების პირველადი რგოლია სკოლა, სკოლამდელი დაწესებულება, სადაც პედაგოგს, სკოლის ადმინისტრაციას შეუძლია ძალადობის იდენტიფიცირებად სათანადო ქმედებების განხორციელება, რასაც რეფერალი ავალდებულებს"- აგვიხსნა ფოთის სოციალური მომსახურების სააგენტოს იურისტმა შორენა ღაჭავამ. "

"მთავარი თემა სამეგრელოში" დაინტერესდა ფოთის საჯარო სკოლების პედაგოგების ჩართულობის შესახებ ძალადობის იდენტიფიცირების კუთხით, უტარდებათ თუ არა მათ ტრენინგები, სწორედ ამ კუთხით, ამ კითხვით მივმართეთ ფოთის განათლების რესურს ცენტრის ხელმძღვანელს, გოჩა ქორქიას: " იანვრის თვიდან სკოლებში ამოქმედდა მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს წევრების, მასწავლებლების ფუნქცია იქნება სწორედ ის რაც თქვენ, ბრძანეთ. მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტება ახლა სრულდება, მე ვფიქრობ ეს იმიტომ არის, დირექტორებმა მანამ ბრძანებები დაწერეს პასუხისმგებელი პირებისა, რომელიც განათლების რესურს ცენტრმა განათლების სამინისტროს გადაუგზავნა , შესაძლებელია ეს ის ადამიანებია რომელთაც ჩაუტარებენ ტრენინგებს ამ კუთხით. ტრენინგი ძალადობის წინააღმდეგ ოფიციალურად პედაგოგებს არ ჩატარებიათ"- ისაუბრა გოჩა ქორქიამ.

კანონი ძალადობის რამდენიმე სახეს გამოყოფს. ძალადობა შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური, ეკონომიკური, იძულება. ბოლო პერიოდში კანონში შევიდა ცვლილება და ძალადობის სახეებს დაემატა უგულვებელყოფა, რაც თავისთავში მოიაზრებს ბავშვის საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, მიუხედავად იმისა, რომ ამის უნარი შესწევს ოჯახს. უგულებელყოფა ასე განიმარტება:

„მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის

დასასრული 7-გვ.

ნარჩენების მართვა - გამოწვევა საქართველოსთვის

დასაწყისი 4-გვ.

და ალბათ, ზუგდიდში, ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე აშენდება და გადავიტანთ ყველა მუნიციპალიტეტიდან ნარჩენებს. ის მუნიციპალიტეტი, რომელიც შორსაა ნაგავსაყრელთან, გადაიტანენ გადამტვირთავ სადგურზე, ისიც კომპანიას დაექვემდებარება და იქედან კომპანია გადაიტანს ნაგავსაყრელზე. ასე რომ, ვფიქრობ 2022 -2023 წლებისთვის ეს პრობლემა მოგვარებული იქნება. ნაგავსაყრელის დახურვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ეს არის საიზოლაციო ფენა, ბიორემედიაცია, რომელიც ასევე უზრუნველყოფს არამარტო ოპერირების დროს. ვცდილობთ, დავიცვათ გარემო და ადამიანის ჯანმრთელობა დახურვამდე და დახურვის შემდეგაც. ამას გვავალდებულებს კანონმდებლობა. ამ პროექტის მიხედვით მოხდება მისი გადახურვა. დახურვიდან 10-20 წლიანი სავალდებულო მონიტორინგი უნდა გავუწიოთ, ხომ არ ბინძურდება გარემო და ამის შემდეგ ხდება ტერიტორიის რემედიაცია - მოხდება რეკრეაციულ ტერიტორიად გამოყენება, არანაირი მშნებლობა, მხოლოდ მწვანე საფარი, გასასეირნებელი პარკი, ბაღი" -ისაუბრა ჩიგოვაძემ.

მყარი მუნიციპალური ნარჩენები წარმოადგენს ადამიანის საქმიანობით წარმოქმნილ ნარჩენებს. ძირითადი წყაროა ოჯახები, ოფისები, სავაჭრო და საჯარო დაწესებულებები. ნარჩენის მართვა მოიცავს ნარჩენის პრევენციას, შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებას, ენერგიად გარდაქმნა-განთავსებას, ასევე მონიტორინგს და კონტროლს ნარჩენების მართვის სრული ციკლის განმავლობაში. დღეისათვის ნარჩენის მართვის თანამედროვე სისტემა განიხილავს ე.წ ნარჩენების იერარქიას, რომელსაც საფუძვლად უდევს 3 R ინიციატივა. REDUCE (შეამცირე), REUSE (ხელახლა გამოიყენე), RECYCLE (გადაამუშავე).

შესაბამისად, ნარჩენების მართვის პროცესში უპირატესობა უნდა მიენჭოს ისეთი ღონისძიების გატარებას,რომელიც მიმართულია ნარჩენის შემცირებისკენ, შემდგომ მისი ხელახალი გამოყენებით ნარჩენის ენერგიად გარდაქმნასა და უსაფრთხო განთავსებას თანამედროვე სტანდარტის ნაგავსაყრელზე.

ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ფოთის მუნიციპალიტეტმა ფერადი ურნების დადგმით დაიწყო, რაც გულისხმობს მყარი ნარჩენების მართვას, რომ ქალაქში შემცირდეს ნარჩენებით დაბინძურება, რომელიც ეკოლოგიურის კატასტროფის საფრთხეს წარმოადგენს და ზიანს აყენებს ადამიანების ჯანმრთელობას.

ფოთის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და ტრანსპორტის სამსახურის, მთავარი სპეციალისტის ემზარ კუპრაძის თქმით: "ასოცირების ხელშეკრულების ერთ- ერთ ვალდებულებას წარმოადგენს ნარჩენების მართვა, რომელიც მნიშვნელოვანი მოთხოვნაა გარემოს დაცვითი კუთხით. ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე შედგა 5 წლიანი გეგმა, რომლის ნიადაგზე შედგა ფოთის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა 2017 წლის 29 დეკემბერს. ამ გეგმის საფუძველზე პრაქტიკულად თანამედროვე მეთოდებზე გადავალთ. ნარჩენები რომ შემცირდეს, გარემო ნაკლებად დაბინძურდეს, ამიტომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა სეპარაციაზე გადასვლა".

ნარჩენების სეპარირების და მართვის სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ერთ-ერთი წარმატებული პოლიტიკა გერმანიამ გაატარა, რომელიც მიზნად ისახავდა ნარჩენის შემცირებას. ეს არის მწარმოებლის პასუხისმგებლობა შესაფუთი მასალისგან წარმოქმნილ ნარჩენზე. პროდუქტის მწარმოებელი იხდის მეტ გადასახადს მეტი შესაფუთი მასალის გამოყენებისთვის. ამ პოლიტიკამ შეამცირა ქვეყანაში ნარჩენის რაოდენობა.

რაც შეეხება ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას გერმანიაში,არსებობს რამდენიმე ფერის ურნა: მწვანე,ლურჯი,ყვითელი, ყავისფერი და ნაცრისფერი. სხვადასხვა მუნიციპალიტეტს თავისი განსხვავებული სისტემა აქვს და შესაძლებელია ურნების ფერებიც განსხვავდებოდეს. ძირითადად, გამოიყოფა ნარჩენების შემდეგი ჯგუფები: ბიოლოგიური ნარჩენები (ბოსტნეული, კვერცხის ნაჭუჭები,ძველი პური, გამხმარი ყვავილები და სხვა), შუშა (ყველა სახის ცარიელი ბოთლი: ღვინის, ზეთის და სხვა), ქაღალდი (ფურცლები, წიგნები, გაზეთები და სხვა), პროდუქტების შეფუთვები (შამპუნის ცარიელი ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, პაკეტები და სხვა) და დანარჩენი საყოფაცხოვრებო ნარჩენები (ტექნიკა,ნაგავი,ნაცარი,სიგარეტის ნამწვი და სხვა). უფრო მეტიც, ურნის სხვადასხვა ჭრილში თავსდება ყავისფერი, მწვანე და გამჭვირვალე შუშები. ცალკე სპეციალური ურნებია გამოყოფილი ბატარეებისთვის, რომელიც სახიფათო ნარჩენია. კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითია იაპონია, სადაც ნარჩენების მართვის სისტემა იმდენად დახვეწილია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო ისეთ საკითხებზე მუშაობს, როგორიცაა ნარჩენების გადამტანი მანქანების ტექნოლოგიური დახვეწა და დიზაინის სრულყოფა მეტი ეფექტურობის მისაღებად. ამ ქვეყანაში დაკონსერვებული, გადასამუშავებლად უვარგისი ნარჩენებისგან ხელოვნურ კუნძულებსაც კი აკეთებენ.

როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, საქართველოში განსაკუთრებულ პოპულარობით მაკულატურის გადამუშავება სარგებლობს. 10-მდე კომპანიაა ჩართული ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენების შეგროვებაში. ხშირ შემთხვევაში ისეც ხდება, რომ თავად გადამამუშავებელი კომპანია ახორციელებს ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებას,მეორადი ნედლეულის წარმოებასა (მაგ. მუყაოს ყავისფერი ქაღალდი) და საბოლოო პროდუქტის წარმოებას (მუყაოს გოფრირებული ყუთები).

ფოთშიც დაწყებულია მზადება ნარჩენების მართვის კუთხით. საპილოტე პროგრამის ფარგლებში ქალაქის ცენტრალურ ადგილებში განთავსებულია ფერადი ურნები, რომლის მეშვეობითაც დაიწყება ნარჩენების დახარისხება. როგორც ემზარ კუპრაძემ აგვიხსნა: "რამდენიმე ადგილას დადგმულია ურნები. ესაა საპილოტე პროგრამა. პირველ რიგში მაკულატურა შეგროვდება, ასევე, პლასტმასი, ლითონი, მინა ა.შ. ჯერ შერეული ფორმით განთავსდება ნაგავსაყრელზე ნარჩენები. ახალ სისტემაზე გადავდივართ, ეს არის მყარი ნარჩენების კომპანია "ნაგავსაყრელი", სადაც ნარჩენის განთავსება იქნება ფასიანი,ანუ რაც მეტ ნარჩენს შეიტან, მით მეტი გადასახადი ექნება ორგანიზაციას, ამდენად, დახარისხების მეთოდის მეტი სტიმული ექნებათ ორგანიზაციებს. ნაკლები ნარჩენები, ნაკლები გადასახადი ნაგავსაყრელზე".

გაზეთი ,,მთავარი თემა სამეგრელოში,, აცხადებს კონკურსს ქალბატონებისათვის სახელწოდებით ,,წარმატებული ქალი 2019,,

ძვირფასო ფოთელებო ჩვენი გაზეთის მეშვეობით გეძლევათ შესაძლებლობა თავად აირჩიოთ წარმატებული ქალი. ამისთვის გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ქალბატონების შესახებ, ვინც ნებისმიერ სფეროში წარმატებული საქმეებით გამოირჩევიან. რჩეულთა კანდიდატები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ რედაქციაში, ან დაგვირეკეთ, გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე: mtavaritsamegrelshi@gmail.com

წარმოდგენილი კანდიდატების შერჩევა მოხდება კონკურსის სახით. გაზეთში დაბეჭდილი სპეციალური ბლანკის მეშვეობით გამოვლინდება წარმატებული ქალი.

ამჯერად გთავაზობთ კონკურსანტ ქალბატონს ვერიკო ლაღიძეს

ვერიკო ლაღიძე: ,,თითოეულ ჩვენგანს აქვს დანიშნულება ამ ქვეყანაზე, ჩვენ კიდევ ერთი დაგვემატა, გვერდით ვედგეთ ჩვენს განსხვავებულ შვილებს და ვიზრუნოთ მათზე...

თეკლა მატკავა
ფოთი

ქალბატონი, რომელიც უნდა გაგაცნოთ, ალბათ ყველაზე მეტად ამართლებს თავის გვარს. მასში ყველაზე მეტად არის სილაღე, პოზიტივი, სიკეთე. მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ აქვს მარტივი ხვედრი. ის მხოლოდ დედა არ არის, ის გახლავთ მებრძოლი ქალი, რომელიც ყოველდღიურად ამტკიცებს, რომ ქალებს ყველაფერი შეუძლია და არ არსებობს ძალა, რომელიც დედას მოერევა. მიუხედავად ამ ბრძოლებისა, იგი ინარჩუნებს სიხალვათეს და ამით ხალისსა და ენერგიას მატებს გარშემო მყოფ ადამიანებს.

-წარმატებისკენ მიმავალი ნაბიჯები...

-ჩემი პირველი წარმატება დაკავშირებულია პირველ სამუშაო ადგილთან, ფოთის საზღვაო ნავსადგურთან, ჯერ დავინიშნე იურისტ - კონსულტანტად, თვე ნახევრის შემდეგ გადამიყვანეს უფროს იურისტ-კონსულტანტად. ჩემს იურისტად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ დროინდელ ფოთის საზღვაო ნავსადგურის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ვოვა ტუღუშსა და მის მოადგილე სუზი კვაჭანტირაძეს, ზაზა ტყებუჩავა იყო ჩემი პირველი კოლეგა, რომელიც ჩემი მისვლიდან ერთ თვეში მოვიდა ფოთის საზღვაო ნავსადგურში სამსახურის დასაწყებად და მათ ჩვენ ორივე ჩამოგვაყალიბეს ნამდვილ პროფესიონალ იურისტებად. წლების განმავლობაში ვმუშაობდი იურისტად და 2003 წელს გადავედი ფოთის საზღვაო ნავსადგურის მოიჯარე კომპანიებთან, სადაც, ფაქტობრივად, ვიმუშავე სამ კომპანიასთან, ბოლო პოზიცია გახლდათ საკადრო სამართლებრივი საქმის წარმოების სამსახურის უფროსობა, სადაც ვიმუშავე 2010 წლამდე, პარალელურად, ამავე წელს ჩავაბარე ადვოკატის გამოცდები, მაქვს სერთიფიკატი საერთო სპეციალიზაციაში, თუმცა, კერძო პრაქტიკას იშვიათად გავდივარ. ამის დრო ნამდვილად არ მრჩება. 2010 წლიდან გადავედი შპს "შავი ზღვის ტერმინალში", იგივე „ ყულევის ნავთობ ტერმინალი", სადაც ვიმუშავე 7 წლის განმავლობაში ზოგად ადმინისტრაციულ და სამართლებრივი საკითხების განყოფილების მენეჯერად. წლინახევრის წინ დავუბრუნდი ქალაქს. ვმუშაობ შპს „ კავკასიანს მეტალ ტერმინალში" დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე, ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან , როგორც იცით, შეიქმნა ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი, სადაც ვარ დასაქმებული დირექტორის პირველ მოადგილედ.

-სამსახურეობრივი მიღწევა...

-სამსახურეობრივი მიღწევა, კარიერის კეთება ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა. უმრალოდ, სამსახურის პრობლემა არასდროს მქონდა, თავისთავად ჩნდებოდა. მუშაობის ყოველი წუთი, წამი, თვე არის გარკვეული გამოცდილების მიღება. ძალიან ბევრ კომპანიაში არ მიმუშავია, მაგრამ ყველგან განსხვავებული სტანდარტები, განსხვავებული მიდგომაა. ამან გარკვეული გამოცდილება შემძინა. წლებია, ვემსახურები სამართლებრივ სფეროს. თუმცა, მაინც არ ვთვლი, რომ, ეს საკმარისია მოსადუნებლად უნდა მივიღო მეტი გამოცდილება და განვითარება კონკრეტულ სფეროში. მიმაჩნია, რომ სრულყოფილებამდე მარტივად ვერ მიაღწევს ადამიანი, მითუმეტეს, მე არასოდეს მაქვს შეგრძნება, რომ ჩემს ცოდნას არ სჭირდება გადამოწმება. ხშირად უთქვამთ ჩემთვის - „ამდენი ხნის იურისტი ხარ და როგორ შეიძლება, რამე შეგეშალოს". ვფიქრობ, ნებისმიერს შეიძლება შეეშალოს და მეც მათ შორის. ამიტომ, რაიმე საკითხის შესწავლამდე, ათასნაირად ვკითხულობ, მოვიკითხავ პრაქტიკაში როგორ არის, გამოცდილება ძალიან დიდი განძია, არ მაძლევს იმის საშუალებას, კმაყოფილი ვიყო საკუთარი თავით. სამართლებრივი სფერო ცოცხალი ორგანიზმივითაა, კანონები იცვლება. თან, დიდიხანია, მენეჯმენტის კუთხით ვმუშაობ. ამიტომ ბევრი ნიუანსია. სულ უნდა ვიმუშავო საკუთარ თავზე.

-ოჯახი და კარიერა....

-ოჯახი ყოველთვის მიწყობდა ხელს. ერთადერთი, რაზეც მწყდება გული, ესაა შვილებთან ურთიერთობა, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ დროის გადანაწილებას. ვფიქრობ, შვილებს ჩემთან ურთიერთობა აკლიათ. ამდენი წელია, აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ქალისთვის უმთავრესი ოჯახი, შვილებთან ურთიერთობაა. არ მაქვს იმის ფუფუნება, სახლში ჩემი შვილების გვერდით ვიყო და არ ვიმუშავო. ჩემმა ამ აქტიურმა ცხოვრებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შვილებთან ურთიერთობა არის უმთავრესი „ერთადერთი რისი დათმობაც მომიწია. მათთან ურთიერთობის დეფიციტი მაქვს მუდმივად. ეს იმის ფონზე, რომ ჩართული ვარ დისტანციურად მათთან კომუნიკაციაში. ვარ ქალი და, გარკვეულწილად, ვითვლები წარმატებულ ქალად, მაგრამ ვთვლი, რომ ოჯახში ყოფნა მთავარია ჩემი გადასახედიდან. როცა მათ ვჭირდები, ყოველთვის მათ გვერდით ვარ, არ უგულვებელყოფ მათ საჭიროებებს. ქალმა ყველაფერი უნდა მოასწროს.

-ცხოვრების დევიზი

-ყველასთან იყო მართალი, წინაპრებისგან და ჩემი მშობლებისგან სულ მესმოდა, რომ ადამიანმა თავისი ცხოვრების გზა სწორად უნდა გაიარო. ვერ ვიტყვი, რომ შეცდომები არ მქონია, ასეთი ადამიანი არ მეგულება. მთავარია, შენი თავის წინაშე, უფლის წინაშე იყო მართალი. მიმაჩნია, რომ ცუდი არავის უნდა უსურვო, წყენა გულში არ ჩაიდო, რადგან პირველ რიგში ეს ჩემთვისაა საზიანო, უნდა გვქონდეს პატიების უნარი. სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდეს ადამიანი.

-ისტორია, რომელიც მუდამ თან გახლავთ

-ყველა პერიოდს თავისი ხიბლი აქვს, უფალს მადლობა, ყველაზე საოცარი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში არის ჩემი სამი შვილის დაბადება.. შემდეგ უკვე, ალბათ, ბავშვობის მოგონება, ბავშვობის წლებია საუკეთესო წლები ჩემს ცხოვრებაში, სკოლის პერიოდი განუზომელი შინაარსითა და სიხალვათით სავსე იყო ჩემს ცხოვრებაში, მეგობრები, რომლებთან უამრავი სათავგადასავლო, საინტერესო მოგონებები მაკავშირებს, წლების შემდეგ ერთმანეთთან ურთიერთობის დროს, დღევანდელ რეალობაში, ვუბრუნდებით დღეებს, რომელიც არასდროს დაბრუდება, თუმცა დროში რეალიზებას მაინც ვახდენთ იმ ურთიერთობითა და დამოკიდებულებით, რაც ღრმა ბავშვობაში იმ სუფთა და წრფელი გულით გვქონდა.

- რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით განვლილი ცხოვრებიდან .

-როგორ შემიძლია შევცვალო ჩემი ცხოვრებიდან რაიმე, როდესაც ძალიან ბევრი საინტერესო დ პოზიტიური დეტალითაა სავსე, ისტორიები, რომლისგანაც შედგება ჩემი ცხოვრება, რომელიც პირდაპირ კავშირშია ჩემს ქალაქთან, მეგობრებთან, ოჯახთან, სამ არაჩვეულებრივ შვილთან. ქალაქი თავისი უამრავი პრობლემებითა და საჭიროებით შეუცვლელია ჩემთვის, თუმცა შესაძლოა, ერთ დღეს, მომიწიოს ქალაქიდან წასვლა, რადგან ჩემი უმცროსი შვილი ჩემგან შორს ცხოვრობს, მისი საჭიროებიდან გამომდინარე, მას აქვს აუტისტური სპექტრის ქცევითი აშლილობა. ამიტომ ჩემგან მოშორებით გადის თერაპიულ კურსებს, მამისა და ძიძის გვერდით, მე, სამწუხაროდ, ორ კვირაში ერთხელ მიწევს შეხვედრა და ურთიერთობა მასთან. მისთვის აუცილებელია დედასთან ახლო კავშირში ყოფნა, რაც დადებით გავლენას მოახდენს მის მდგომარეობაზე. თუმცა, მისი ფოთში გაჩერება დამამძიმებელ ეფექტს მოახენდა მის ჯანმრთელობაზე.

-რას ურჩევდით ქალებს?

- მინდა მოვუწოდო ყველა ქალბატონს, იყვნენ ძლიერები და არასოდეს ჩავარდნენ სასოწარკვეთილებაში. განსაკუთრებით მათ, ვისაც ჰყავთ შეზღუდული უნარის მქონე შვილები. უნდა სჯეროდეთ, რომ ეს განსაკუთრებული ხვედრია და ღმერთის წყალობით შეძლებენ ატარონ ეს ჯვარი. თითოეულ ჩვენგანს აქვს დანიშნულება ამ ქვეყანაზე, ჩვენ კიდევ ერთი დაგვემატა -: გვერდით ვედგეთ ჩვენს განსხვავებულ შვილებს და ვიზრუნოთ მათზე, ისინი კი თავიანთი ყოფით გაგვაბედნიერებენ ისეთივე განსაკუთრებული და განსხვავებული სიყვარულით, როგორებიც თვითონ არიან.

კონკურსი
,,წარმატებული ქალი,,

კონკურსანტის სახელი და გვარი

ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7

ქრისტი კარანაია: ,,მშობელი მუდამ შვილის ემოციების თანაზიარი უნდა იყოს,,

დასაწყისი 5-გვ.

მოწესრიგებისათვის, აგრეთვე სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუ კი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე". მაგალითად: განათლების უფლების შეზღუდვა - როდესაც ბავშვი სასკოლო ასაკისაა და არ დადის სკოლაში, ან როდესაც ბავშვი საჭიროებს ჯანმრთელობისთვის გადაუდებელ ან პრევენციული ღონისძიების გატარებას და ამას თავს არიდებს მშობელი, თუმცა მას აქვს ინფორმაცია საჭირო ქმედებების შესახებ"- განმარტავს ღაჭავა.

რეფერირების პროცედურების ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკს მიენიჭა უფლებამოსილება გადაუდებელი წესით განარიდოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვი ოჯახურ გარემოს, თუ ბავშვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ამ მიზნით არსებობს სხვადასხვა სახის სახელმწიფო სერვისი. მათ შორის, გადაუდებელი/რეგულარული მიმღები ოჯახი,მცირე ტიპის საოჯახო ტიპის სახლი და ა.შ.

იურისტმა უგულვებელყოფასთან დაკავშირებით კონკრეტული ფაქტიც კი გაიხსენა: "როდესაც არასრულწლოვანი დარჩა მშობლების მზრუნველობის გარეშე, ბავშვი, გადაუდებელი წესით გადაიყვანეს მინდობით აღზრდაში. მიმღები ოჯახი, ე.წ. „დედობილ/მამობილი" გადის სპეციალურ ტრენინგებს, ხდება მათი მონაცემების დეტალური შესწავლა და მხოლოდ ამის შემდგომ დარეგისტრირება მიმღებ ოჯახად. აღნიშნული სერვისი მაქსიმალურად ხელს უწყობს ბავშვს ოჯახურ გარემოში გააგრძელოს ცხოვრება" - განმარტა ღაჭავამ.

შორენა ღაჭავას თქმითვე, კანონი ძალადობის პრევენციის მიზნით, ეტაპობრივად იხვეწება. მოქმედებს შემაკავებელი და დამცავი ორდერები, რასაც ჰქონდა თავისი ეფექტი. შემაკავებელი ორდერის გამოწერა ხდებოდა პოლიციის მეშვეობით როცა დაამტკიცებდა სასამართლო. ამჟამად შემაკავებელი ორდერს გამოსცემს პოლიცია. დამცავი ორდერის გამოცემის მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება აქვს თავად მსხვერპლს, რომელიც თვლის თავს ასეთად, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ამ შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოს. გახშირებული ძალადობის ფონზე, ეს არ არის საკმარისი, თუმცა კანონმდებლობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო მკაცრდება, რაც არასრულწლოვანზე ძალადობის რეფერირების მექანიზმს წარმოადგენს.

იურისტმა ასევე ისაუბრა იმაზეც, რომ ხშირად მოძალადე ყოფილი ძალადობის მსხვერპლია: "ამიტომ, სკოლის ადმინისტრაცია უნდა ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას ბავშვის ოჯახის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ძალადობის იდენტიფიცირების შემთხვევაში, რეფერალის თითოეული სუბიექტი ვალდებულია, მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ შემთხვევაში, სააგენტო ერთვება და ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ფოთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქოლოგიური მომსახურების კაბინეტში, სადაც ისინი მაღალკვალიფიციურ სერვისს იღებენ "-აღნიშნა ადვოკატმა.

"მთავარი თემა სამეგრელოში" დაუკავშირდა ფოთში, მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქოლოგიური მომსახურების ფსიქოლოგს, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ფოთის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ექვემდებარება მანდატურის სამსახურს და, შესაბამისად, თანამშრომლობს საჯარო სკოლებთან: "მე ვერ მოგაწვდით ოფიციალურ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგანაც კონფიდენციალურია და ინტერვიუს არ ვიძლევით".

საინტერესოა, რა შეიძლება გავაკეთოთ პრევენციის გზით, რომ არ უგულვებელყოთ ბავშვები ?

კარანაიას თქმით: "რაც შეიძლება მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან ერთად. მათი აზრის პატივისცემა, მუდმივი დიალოგი მათთან აუცილებელია. მშობელი ყოველთვის შვილის ემოციების თანაზიარი უნდა იყოს".

საქართველოს ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში

თბილისში, საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ორგანიზებითა და საქართველოს განათლების,მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში I ვერსიით. აღნიშნულ შეჯიბრზე მონაწილეობა მიიღო ქალაქ ფოთის ძალისმიერი სამჭიდის კლუბ „ფაზისი - 2011" -ის ექვსმა სპორტსმენმა. ფოთელმა სამჭიდელებმა მოიპოვეს 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი.

ძალისმიერი სამჭიდი:

I ადგილი - რევაზ ფაცურია (ახალგაზრდები, 83კგ წონით კატეგორიაში);

III ადგილი - გოგა გორგიძე (ღია ასაკობრივი კატეგორია, 75კგ წონით კატეგორიაში);

წოლჭიმი:

II ადგილი - აკაკი ჯგუბურია (ღია ასაკობრივი კატეგორია, 93 წონით კატეგორიაში);

III ადგილი - ლაშა ჭოჭუა (ახალგაზრდები, 83კგ წონით კატეგორიაში);

III ადგილი - ნუგზარ მარღანია (ჭაბუკები, 66კგ წონით კატეგორიაში).

პირადი მწვრთნელები: აკაკი ჯგუბურია და დავით გულუა.

საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში

1-4 მარტს თბილისში ჭიდაობა სამბოში საქართველოს პირველობა გაიმართა, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მოჭიდავეებმა.

ჭაბუკები:
I ადგილი - ვიტალი ქაქუთია, 56 კგ წონითი კატეგორია
I ადგილი - ელიზბარ თურქია, 60 კგ წონითი კატეგორია
III ადგილი - დავით დგებია, 52 კგ წონითი კატეგორია
III ადგილი - ბექა სანაია, 75 კგ წონითი კატეგორია
მწვრთნელები: კონსტანტინე ხუბუტია, ზურაბ ძაძამია

ახალგაზრდები:
II ადგილი - ირაკლი შეყილაძე, 52 კგ წონითი კატეგორია
II ადგილი - ოთარ ოჩიგავა, 68 კგ წონითი კატეგორია
მწვრთნელები: კონსტანტინე ხუბუტია, ზურაბ ძაძამია

გოგონები:
I ადგილი - მარიამ თოდუა, 75 კგ წონითი კატეგორია
მწვრთნელები: ნუკრი ბერაია, ვალერი გიგიბერია

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიტალი ქაქუთია და ელიზბარ თურქია მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონატზე კვიპროსში, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 12-16 აპრილს. ასევე ფოთის ნაკრებმა ჭაბუკებს შორის მოიპოვა გუნდური I ადგილი.

საერთაშორისო ტურნირი შერეულ ორთაბრძოლებში

2-3 მარტს თბილისში შერეულ ორთაბრძოლებში 8-9 და 18+ ვაჟთა შორის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთის შერეული ორთაბრძოლების სპორტსმენებმა.

I ადგილი
საბა ჭანკვეტაძე - 14-15 წლამდელთა შორის, 65 კგ წონითი კატეგორია
ბექა კორტავა - 14-15 წლამდელთა შორის, 70 კგ წონითი კატეგორია

II ადგილი
ლუკა ბართაია - 10-11 წლამდელთა შორის, 35 კგ წონითი კატეგორია
დიტო ცხოვრებაძე - 14-15 წლამდელთა შორის, 50 კგ წონითი კატეგორია
ფრიდონ სურმავა - 16-17 წლამდელთა შორის, +75 კგ წონითი კატეგორია

III ადგილი
ილია ბოკუჩავა - 11-12 წლამდელთა შორის, 30 კგ წონითი კატეგორია

აკაკი ჯაბელიას

აფხაზეთის დამსახურებულ ინჟინერს



ბატონო აკაკი, 81 წელი მიილია, როგორც სანთელი. შენ ღირსეულად გაანვლე ეს წლები, ისე რომ, უკან მოხედვის არ გეშინია.

ალალად გიშრომია და შენი წილი აგური დაგიდვია იმ საქვეყნო საქმეში, რასაც შენი აფხაზეთი ჰქვია. გიყვარს შენი საქართველო, შენი ქალაქი ფოთი. ამიტომაც გახარებს მისი აღმშენებლობა. გვეამაყება, რომ ბრწყინვალე, ნამდვილად ქართული ოჯახი გაქვს. სათნო და კეთილი მეუღლე ლარისა გორდულავა, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები - ბარბარე და ელენე, ხომ შენი სიამაყეა!

იხარე ბატონო აკაკი, იდღეგრძელე, ზღვა სიყვარული არ მოგკლებოდეს ამ ლამაზ ქვეყანაზე. ღმერთი ფარავდეს შენ და შენს ოჯახს და ყოველთვის სიამაყით გეთქვას:

ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა
ფართოდ გაშლილი და მოხატული,
თამარ დედოფლის დარბაზივითა.

მეგობრები

ჩვენც ვუერთდებით ამ მილოცვას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ვუსურვებთ ამ, მართლაც დიდებულ პიროვნებას, კარგ და უთბილეს ადამიანს, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს.

მილოცვა

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“-ს რედაქციას!

გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს, დედის დღეს და ქალთა დღეს. გაზაფხულივით ლამაზ მომავალს გისურვებთ გოგოებო. წარმატებები გქონოდეთ კარიერულ ცხოვრებაში, რათა თქვენი პროფესიით მრავალი ადამიანის გვერდით დადგეთ და მათი პრობლემების მოგვარება შეძლოთ.

ერთგული მკითხველი: ნანი მიმინოშვილი

ანეკდოტები

გურულს ეუბნებიან : - შენი წინაპარი მეგრელი იყოო..
გაბრაზებული გურული პასუხობს :
- ფუ ამის დედა ვატიტე, მე ხომ ბედი არაფერში არ მაქვს. ყველას წინაპარი მაიმუნი იყო და რაღა მანდამაინც ჩემი იყო მეგრელიო...

სომხები ქეიფობენ და ყველა გამვლელს ეუბნებიან:
– თქვი ღმერთმა მარტო სომხისთვის გვამუშაოსო.
ქართველები არ იძახიან და სომხები მაგრად ცემენ. გამოივლის იმერელი და იმასაც იგივეს მოთხოვენ.
იმერელი ეტყვის: – ღმერთმა ოღონდ სომხისთვის მამუშაოს და თუ უნდა შაბათ -კვირასაც არ დამასვენოსო.
სომხებს გაუხარდებთ, დასვამენ იმერელს და მაგრად აქეიფებენ. მერე ერთს ეჭვი შეეპარება და იმერელს შეეკითხება:
– რად მუშაობ?
– მეკუბოვე ვარ!
– უპასუხებს იმერელმა :):):)

პენსიის რიგში მდგომი გურული ქალი მეორეს ეკითხება:
- რაფერ ხარ ცა!
- რაფერ ვიქნები!? პენსია ერთი კაცის მაქ, წნევა კი ორი კაცის

- არა, ძმაო, ბანდიტი მირჩევნია ცოლს, – ეუბნება ჭიჭიკია ძმაკაცს.
- რეიზა, სიმონ?
- კაცო, ბანდიტი გეუბნება ან ფული, ან სული! აირჩევ. ცოლი კი ორივეს გთხოვს

ბანკს ძარცვავენ. მძარცველს ნიღაბი ჩამოუვარდება, მიდის მოლარესთან და ეკითხება:
- ჩემი სახე დაინახე?
- კი.
მძარცველი ესვრის და კლავს.
- კიდევ ვინ დაინახა ჩემი სახე?
იატაკზე დაწოლილი ჭიჭიკია თავის წამოუწევლად ეუბნება:
- ჩემმა სიდედრმა დაგინახათ, ბატონო, აქედან 200 მეტრში ცხოვრობს.

გურულს მამა მოუკვდება, ფული არ აქვს და მეორადებში უყიდის კოსტუმს. ორი კვირაში, დილით ხვდება მეზობელი:
- რა გჭირს რას გიგავს თვალები?
- ბიჯო მამაი მესიზმება ყოველ ღამე და მეუბნება რა მიქენი აიო, ვინცხა გერმანელი დამსდევს აქანე, მომეცი ჩემი კოსტუმიო...

სვანს თავის მოკვლა უნდა და შეუვარდება ერთ მანქანს ბორბლებში და არ მოკვდება.
მერე შეუვარდება მეორეს, მაგრამ არც ეხლა მოკვდება, მესამესაც შეუვარდება და მაშინაც არ მოკვდება და ბოლოს მოიფიქრებს, რომ მოძრავ მანქანას შეუვარდეს

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ერთი ნომრის ღირებულება
ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის
გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა საქართველოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ “მთავარი თემა სამეგრელოში“შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა საქართველოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.